

# GC აღმანახი

*№3 / მარტი, 2020 წ.*



## სარჩევი

ფრანგული აქცენტები მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე .....	3
როგორია ნატო-ს შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები? .....	5
რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული კიბერშეტევა .....	8
ისრაელის თავდაცვის ახალი გეგმა .....	11
საქართველო და თავდაცვის თანამედროვე სისტემები .....	12
საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ერთობლივი განცხადება ევროკავშირისადმი.....	14
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 130-ე შეხვედრა ქ. სტრასბურგში ჩატარდება.....	15

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## ფრანგული აქცენტები მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე

მიმდინარე წლის 14-16 თებერვალს გაიმართა მიუნხენის უსაფრთხოების რიგით 56-ე კონფერენცია, რომელშიც ტრადიციულად მონაწილეობას იღებდნენ მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღები პირები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, მინისტრები, პოლიტიკოსები, საერთაშორისო, არასამთავრობო თუ მედია ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

2009 წლის შემდეგ, წელს პირველად კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა. კონფერენციაზე [სიტყვით გამოსვლისას](#) ემანუელ მაკრონმა ვრცლად ისაუბრა ევროპის მომავალზე, ფრანგულ-გერმანულ ორმხრივ ურთიერთობებზე, ნატო-ს როლზე ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში და რუსეთთან ურთიერთობაზე. პრეზიდენტმა მაკრონმა აღნიშნა, რომ ევროპის მომავალზე საუბრისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული ისეთი საკითხები, როგორცაა ჩინეთის გაძლიერება, სამეზობლო რეგიონის ძლიერი მოთამაშეების - რუსეთისა და თურქეთის განსხვავებული ინტერესები და აფრიკის დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც დემოგრაფიულ აფეთქებას განიცდის მაშინ, როდესაც ევროპის დემოგრაფიული ვითარება უარესდება; აქვე, მან [ხაზი გაუსვა](#) აშშ-თან ევროპის პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობას: „საჭიროა ევროპული დამოუკიდებლობა, უნარი, შევქმნათ საკუთარი სტრატეგია, ვინაიდან ჩვენ და აშშ-ს სხვადასხვა გეოგრაფიული მდებარეობა გვაქვს; ასევე, განსხვავებულია ჩვენი დამოკიდებულება თანასწორობის საკითხის მიმართ, კულტურასთან, მწერლებთან დაკავშირებით. არსებობს ევროპული სპეციფიურობები, რომლებიც უნდა იყოს დაცული, როგორცაა სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ ჩვენი - ევროპელების პრეროგატივაა. მაგალითად, ხმელთაშუაზღვის პოლიტიკა ეს ევროპული პოლიტიკაა და იგი არ



შეიძლება იყოს ტრანსატლანტიკური პოლიტიკა, ისევე როგორც რუსეთთან პოლიტიკის წარმართვა ევროპული პოლიტიკის ნაწილია და იგი არ შეიძლება იყოს ტრანსატლანტიკური პოლიტიკის შემადგენელი“.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას საფრანგეთის პრეზიდენტმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ აშშ-ისგან განსხვავებით, ევროპას და რუსეთს საერთო საზღვარი აქვთ და მათ ერთმანეთისგან ოკეანე არ ჰყოფს,

რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები კი ისევე ძვირი უჯდება ევროპელებს, როგორც რუსებს და სანქციების დაწესების პოლიტიკა არცთუ ისე დადებითი შედეგის მომტანი აღმოჩნდა. პრეზიდენტ მაკრონის მოსაზრებით, გრძელვადიან პერსპექტივაში, ევროპამ რუსეთთან უნდა აწარმოოს სტრატეგიული დიალოგი და იგი შესაძლებელია იმგვარად, რომ დაცული იყოს ევროპული ღირებულებები და ევროპამ არ დათმოს საკუთარი პოზიციები, რომელიც მას აქვს ამჟამად არსებულ გაყინულ კონფლიქტებთან მიმართებით. იგი მიიჩნევს, რომ რუსეთს სამომავლოდ დასჭირდება მოკავშირეები და ამ მხრივ, მას გაუჭირდება ჩინეთთან ალიანსი, თუნდაც კულტურული განსხვავებულობის გამო, ვინაიდან რუსული სიამაყე და ჩინური ჰეგემონია არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში. *„ვფიქრობ, საჭიროა გამოიძებნოს ევროპული პარტნიორობის გზები. [...] მე არ გახლავართ პრორუსი, არც ანტირუსი, მე გახლავართ პროევროპელი. როდესაც ვუყურებ ჩვენს გეოგრაფიულ მდებარეობას, მივიჩნევ, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ერთად რაღაც. ჩვენზეა დამოკიდებული ნდობისა და უსაფრთხოების არქიტექტურის მშენებლობა. ამასთან, ვფიქრობ, ეს ნიშნავს სტრატეგიული არჩევანის მიცემას რუსეთისთვის, რომელიც ღირებულია ჩვენთვის“*, - განაცხადა პრეზიდენტმა მაკრონმა.

რუსეთთან დაკავშირებით, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ასევე, აღნიშნა, რომ ნათელია რუსეთი განაგრძობს ევროპული დემოკრატიის დესტაბილიზაციას, მათ შორის, საარჩევნო პროცესებში ჩარევას ამა თუ იმ ქვეყნის ანტიევროპულ პოლიტიკურ მოძრაობებთან ალიანსით, რასაც ადგილი აქვს, მაგალითად, საფრანგეთში.

რაც შეეხება ნატო-სთან ურთიერთობას, ემანუელ მაკრონმა ხაზი გაუსვა, რომ ევროპული კოლექტიური უსაფრთხოების მისეული ხედვა არ არის არც ნატო-ს საწინააღმდეგო და არც მისი ალტერნატივა: აღნიშნული ხედვა ორ განზომილებას მოიცავს - ნატო-ს და ევროპის თავდაცვას და იგი შედეგია დღეს არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა. პრეზიდენტ მაკრონის მოსაზრებით, დღეს, თავდაცვის სფეროში ამერიკულ-ევროპული ინტერესები რიგ საკითხებზე განსხვავებულია, მათ შორის, შუა აღმოსავლეთთან, ირანთან დაკავშირებით: *„ვფიქრობ, ნათელია, რომ ჩვენ გვჭირდება ნატო, მაგრამ ამასთან, საჭიროა, რომ შევძლოთ საკუთარი თავის დაცვა თავად ჩვენ თვითონ, საჭიროა, გვექონდეს მოქმედების თავისუფლება. [...] ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ აშშ-ის „უმცროსი პარტნიორი“ (Junior Partner), რადგან ზოგჯერ ჩვენ გვაქვს განსხვავებული ინტერესები და საჭიროა მათი გატარება“*.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტმა მაკრონმა სიტყვით გამოსვლისას, „ბრექსიტის“ ფონზე, ხაზი გაუსვა დიდი ბრიტანეთის მნიშვნელობას ევროპული უსაფრთხოებისა და ერთიანი თავდაცვის საკითხში. მისი მოსაზრებით, ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი აღარ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მასთან საჭიროა თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმატში; მათ შორის, მისი აზრით,

შესაძლოა შეიქმნას *ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭო*, სადაც განხილულ იქნება ევროპისთვის სტარტეგიულად მნიშვნელოვანი ყველა საკითხი და სადაც ნიშანდობლივი იქნება დიდი ბრიტანეთის ასოცირება.

საფრანგეთის პრეზიდენტის ზემოაღწერილ ხედვებს, განსაკუთრებით რუსეთის ერთიანი ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების არქტიტექტურაში მოაზრებას, ამ ეტაპზე, არ იზიარებენ ევროპელი ლიდერები, მათ შორის, გერმანიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეთაურები. „არ შეიძლება ითამაშო ორ *ფრონტზე*“ - მაგალითად, სწორედ ასე შეაფასა, რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტ მაკრონის რუსეთთან ურთიერთობის განვითარების ხედვები უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ, რომელიც მიიჩნევს, რომ საფრანგეთი, გერმანიასთან ერთად, დადებით როლს თამაშობს რუსულ-უკრაინული კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, მაგრამ იგი შემფოთებულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნულის პარალელურად, ამავდროულად, პრეზიდენტი მაკრონი ცდილობს მოსკოვთან ურთიერთობების აღდგენას.

### **როგორია ნატო-ს შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები?**

9 თებერვალს, ამერიკული კვლევითი ცენტრის - „The Pew Research Center“-ის მიერ გამოქვეყნდა ნატო-ს შესახებ საზოგადოებრივი აზრის *კვლევა*, რომელიც ორგანიზაციის წევრ 16 და მის არაწევრ 3 ქვეყანაში ჩატარდა, რაც ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მოსახლეობის 90%-ს შეადგენს.\* აღნიშნულ კვლევას „The Pew Research Center“-ი 2007 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ატარებს. ამჟამინდელი კვლევის შედეგების თანახმად, საერთო ჯამში, გამოკითხული მოსახლეობის 53% უცხადებს ნდობას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას, 27%-ს კი ორგანიზაციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს; მათ შორის, ნატო-ს მიმართ ნდობა ყველაზე მაღალია პოლონეთში - გამოკითხული პოლონელების 82% ენდობა ორგანიზაციას, ნდობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თურქეთში - 21%. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ნატო-ს მიმართ ნდობა აქვს გამოკითხული მოსახლეობის 77%-ს ლიეტუვაში, 72%-ს ნიდერლანდების სამეფოში, 66%-ს კანადაში, 57%-ს გერმანიაში, 52%-ს აშშ-ში და 49%-ს საფრანგეთში.

**NATO favorability over time**

% who have a favorable opinion of NATO

NATO member countries	2007	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%
U.S.	-	53	54	54	51	49	-	49	53	62	64	52
Canada	-	-	-	-	-	57	-	56	56	66	-	66
France	-	71	68	70	67	58	-	64	49	60	-	49
Germany	-	73	57	60	65	59	-	55	59	67	63	57
Greece	-	-	-	-	20	25	-	-	25	33	-	37
Italy	-	64	-	-	61	60	-	64	59	57	-	60
Netherlands	-	-	-	-	-	-	-	-	72	79	-	72
Spain	-	56	53	62	45	42	-	47	44	45	-	49
UK	-	63	60	63	62	59	-	60	61	62	-	65
Bulgaria	54	54	-	-	-	-	-	-	-	-	-	42
Czech Rep.	60	66	-	-	51	56	-	-	-	-	-	54
Hungary	-	57	-	-	-	-	-	-	57	60	-	48
Lithuania	-	59	-	65	-	-	-	-	-	-	-	77
Poland	72	75	77	72	70	64	-	74	70	79	-	82
Slovakia	53	59	-	-	-	-	-	-	-	-	-	51
Turkey	-	-	-	18	15	25	19	23	-	23	-	21
<b>Non-NATO countries</b>												
Sweden	-	-	-	-	-	-	-	-	58	65	-	63
Russia	30	24	40	37	22	27	-	12	-	-	-	16
Ukraine	34	31	-	34	-	-	-	58	-	-	-	53

Source: Spring 2019 Global Attitudes Survey, Q8g. Germany's 2018 results from Körber-Stiftung survey conducted there Sept. 13-26, 2018. "NATO Seen Favorably Across Member States"

PEW RESEARCH CENTER

ნაკლებად ერთსულოვანია გამოკითხული მოსახლეობა ორგანიზაციის მიერ კოლექტიური თავდაცვის ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულია ნატო-ს წესდების მე-5 მუხლით, რომლის მიხედვით, ნატო-ს რომელიმე წევრ ქვეყანაზე თავდასხმა ფასდება მთელ ალიანსზე თავდასხმად. შეკითხვაზე - დაიცვას უნდა თუ არა მათმა ქვეყანამ ნატო-ს წევრი სხვა სახელმწიფო რუსეთის მხრიდან არსებული პოტენციური საფრთხის შემთხვევაში - გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 38%-მა უპასუხა დადებითად, 50%-მა კი უარყოფითი პასუხი გასცა. კვლევის თანახმად, აღნიშნულ შეკითხვას დადებითად უპასუხეს რესპოდენტებმა გამოკითხული ქვეყნებიდან მხოლოდ ხუთ ქვეყანაში, კერძოდ, აშშ-ში, კანადაში, ნიდერლანდების სამეფოში, ლიეტუვასა და გაერთიანებულ სამეფოში. აქვე, აღსანიშნავია, რომ „ბრექსიტის“ ფონზე, ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის იმიჯი გაზრდილია დიდ ბრიტანეთში, გამოკითხული ბრიტანელების 67% დადებითად აფასებს ორგანიზაციას მაშინ, როდესაც 2017 წლის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 62%-ს.

მოცემული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებისა და ზოგადად, დღევანდელი სულ უფრო ნაკლებად პროგნოზირებადი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა დროულად მიიღონ მხედველობაში

საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ქვეყნის ორგანიზაციაში გაწევრიანების კუთხით. ამასთან, ხაზგასასმელია ის მაღალი საზოგადოებრივი ნდობა, რომლითაც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია სარგებლობს საქართველოში - მოსახლეობის 74% დადებითად აფასებს ნატო-ს და [მხარს უჭერს](#) ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებას!



ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული კიბერშეტევა



ფოტო: <https://imedineews.ge/ge/politika/128621/euractiv-saqartvelo-rusetis-mier-gankhortsielebuli-partomashtabiani-kibertavdashkhis-shesakheb-inpormatsias-artselebs>

ამა წლის 20 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ საქართველოში 2019 წლის 28 ოქტომბერს კიბერშეტევა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ განხორციელდა. კერძოდ, აღნიშნული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა გულისხმობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედია ორგანიზაციების ვებ-გვერდებისა და სერვერების ფუნქციონირების შეფერხებას. საბოლოო ჯამში, კიბერშეტევის შედეგად ხსენებული ორგანიზაციების სერვერები და მართვითი სისტემები დაზიანდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად, აღნიშნული კიბერშეტევის მიზანი იყო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფა, საქართველოს მოსახლეობისთვის ზიანის მიყენება და საზოგადოებაში მღელვარების დათესვა სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის სახელისუფლებო სტრუქტურების ფუნქციონირების შეფერხებით.



საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული კიბერშეტევა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, რადგან იგი ხელყოფს ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპს და გულისხმობს საქართველოს განვითარების შეფერხებას.

ნიშანდობლივია, რომ ხსენებულ ფაქტს საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან სათანადო რეაგირება მოჰყვა. არაერთმა პარტნიორმა დაგმო საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული კიბერშეტევა და გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს კიბერუსაფრთხოების გასაძლიერებლად.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღინიშნა: „ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს მსგავსი ქმედებები საქართველოში და სხვაგან. კიბერსივრცის სტაბილურობა დამოკიდებულია სახელმწიფოების პასუხისმგებლიან ქცევაზე. ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად გავაგრძელებთ მუშაობას, რომ დავიცვათ სახელმწიფოს პასუხისმგებლიანი ქცევის საერთაშორისო სისტემა კიბერსივრცეში“. ამასთანავე, განცხადებაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ამერიკის შეერთებული შტატების მზაობაზე მხარი დაუჭიროს საქართველოს მავნე კიბერ აქტორებთან ბრძოლაში, საჯარო ინსტიტუტების განმტკიცებაში, შესთავაზოს დამატებითი შესაძლებლობების განვითარება და ტექნიკური დახმარება მსგავსი ქმედებებისგან თავდასაცავად.

გაერთიანებულმა სამეფომაც დაგმო რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული მოქმედება არის მცდელობა შეარყიოს საქართველოს სუვერენიტეტი, დათესოს გაურკვევლობა და ზიანი მიაყენოს ქართველი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას. გაერთიანებული სამეფო რჩება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდამჭერად.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან და გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად საქართველოს მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს დანიის, ესტონეთის, ლატვიის, ლიეტუვის, პოლონეთის, ნორვეგიის, ჩეხეთის, შვედეთის, მონტენეგროს, ისლანდიის, კანადის, ნიდერლანდების სამეფოს, რუმინეთის, უკრაინისა და ავსტრალიის საგარეო უწყებებმა.

ამა წლის 5 მარტს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე ცალკე თემად განიხილეს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევა. ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გონივრული თავდაცვის პროექტის მავნე კოდებზე ინფორმაციის მიმოცვლის მრავალეროვნული პლატფორმის (MISP) სრულუფლებიანი წევრი გახდა. პლატფორმა უზრუნველყოფს კიბერშეტევების შესახებ

ინფორმაციის გაზიარებას. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ჩვენ გვაქვს საერთაშორისო მხარდაჭერა როგორც ორმხრივი, ისევე მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ხსენებული დესტრუქციული მოქმედებები აზიანებენ კიბერსივრცის სტაბილურობას, რაც, თავისთავად, ხელყოფს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. საინფორმაციო ტექნოლოგიების ერაში ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს არა მხოლოდ საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო კომპონენტებს, არამედ კიბერსივრცესაც. ამავდროულად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კიბერსივრცე არ არის შემოფარგლული კონკრეტული საზღვრებით, რაც გამოწვევას მასშტაბურ ხასიათს სძენს. შესაბამისად, მშვიდობიანი, თავისუფალი, ღია და უსაფრთხო კიბერსივრცის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა. საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები მიანიშნებს, რომ გაგრძელდება პარტნიორებთან თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების გასამდიერებლად, რაც აუცილებელია კიბერსივრცეში დესტრუქციული მოქმედებების თავიდან ასაცილებლად.

წყაროები:

<https://ge.usembassy.gov/ka/the-united-states-condemns-russian-cyber-attack-against-the-country-of-georgia-february-20-ka/>

[https://www.facebook.com/ukingeorgia/posts/3793164290701644?\\_tn\\_ =K-R](https://www.facebook.com/ukingeorgia/posts/3793164290701644?_tn_ =K-R)

<https://www.interpressnews.ge/ka/article/586222-sagareo-ucqeba-sakartveloshi-2019-clis-28-oktombers-kibersheteva-rusetis-sheiaragebuli-zalebis-generaluri-shtabis-mier-ganxorcielda/>

<http://guardian.ge/51280-gaero-s-ushishroebis-sabtcos-dakhurul-skhdomez-ashsh-ma-britanethma-da-estonethma-saqarthvelos-tsinaagmdeg-rusethis-kiberthavdashmebze-isaubres.html>

<https://imedinews.ge/ge/tavdacva/130223/kiberusaprtkhoebis-biuro-natos-gonivruli-tavdatvis-proeqtis-mispis-tsevri-gakhda>

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## ისრაელის თავდაცვის ახალი გეგმა



ფოტო: Jack Guez/AFP via Getty Images)

ისრაელმა თავდაცვის ძლების რესტრუქტურირების მრავალწლიანი გეგმა გამოაცხადა, რომელიც მიმართულია თანამედროვე და მომავლის გამოწვევების საპასუხოდ.

გეგმა რომელსაც ეწოდება „ტნუფა“ (მომენტურმი- ივრითზე) ისრაელის გენერალური შტაბის ახალი უფროსის გენერალ ლეიტენანტ ავი კოჩავის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა

უკანასკნელი წლის განმავლობაში. გეგმა მიმართულია ისრაელის უნარზე შეძლოს ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა და უახლესი ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენებით სხვადასხვა სახეობის და გვარეობის საცეცხლე შესაძლებლობის ეფექტური კონცენტრაცია ბრძოლის ველზე.

გეგმა ასევე მიმართულია კონფლიქტის დროის შემცირებაზე ბრძოლის ველზე მეტი წარმატების მიღწევის და ომის სამოქალაქო მოსახლეობაზე გავლენის შემცირების გზით. თავდაცვის ძალები მიმართული იქნება 'მოწინააღმდეგის სისტემებზე მასიური და მიზანმიმართული ძალის გამოყენებაზე' - როგორც გეგმის შესახებ ისრაელის თავდაცვის ძალების განცხადებაშია ნათქვამი.

მთავარი ასპექტი გეგმის მიმართულია ისრაელსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის დიდი ტექნოლოგიური სხვაობის მიღწევისკენ. ეს ნიშნავს კომუნიკაციის და ხელახალი მომარაგების უნარების გატეხვას მოწინააღმდეგეში. აღნიშნული მიღწეულ უნდა იქნას ისრაელის ხელთ არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად სწრაფი მხარდამჭერი კონცენტრაციით იმ სახეობისთვის რომელიც არ უნდ აიყოს მთავარი მოქმედი ძალა პოტენციურ კონფლიქტში.

მომავლის კონფლიქტი ისრაელის გენერლების ხედვით მოიცავს უფრო მეტს ავტონომიურ მფრინავ აპარატებს, ზუსტი დამიზნების რაკეტებსა და სისტემებს, რომლების სიზუსტეს გაუმჯობესებენ, თუმცა უფრო ძვირი იქნება. შესაბამისად, ისრაელს მომავალშიც განაგრძობს ინვესტირებას მაღალ-ტექნოლოგიურ იარაღში და ასევე

შეეცდება თავდაცვის ძალები ზედმეტი შენაერთებისგან გაათავისუფლოს, როგორც ეს 2015-2020 წლებში უკვე გააკეთა. ეს ასევე მოიცავს მოძველებული „მერკავა“ მკვ ტიპის ტანკების ექსპლუატაციიდან მოხსნას და სატანკო შენაერთების შემცირებასაც. ასევე გაგრძელდება საჰაერო თავდაცვის მრავალშრიანი სისტემის განვითარებაც.

აღსანიშნავია, რომ ისრაელში, ისევე როგორც არა ერთ სხვა ქვეყანაში მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების გამოყენების ხასიათისა და არსებული სტრუქტურების გადააზრების პროცესი თანამედროვე გართულებული უსაფრთხოების გარემოს ჭრილში.

წყაროები:

[https://www.defensenews.com/global/mideast-africa/2020/02/18/israel-rolls-out-new-wartime-plan-to-reform-armed-forces/?fbclid=IwAR1YQwFMQuTEXRwoTOjNzRbg0kQ46I7\\_epM6ucnoHmwTOBC91mXBjnlG24](https://www.defensenews.com/global/mideast-africa/2020/02/18/israel-rolls-out-new-wartime-plan-to-reform-armed-forces/?fbclid=IwAR1YQwFMQuTEXRwoTOjNzRbg0kQ46I7_epM6ucnoHmwTOBC91mXBjnlG24)

<https://www.belfercenter.org/israel-defense-forces-strategy-document?fbclid=IwAR0GGio2JEatpQ3okYSKEudPkFSji7HLqwVjNDUYi2-du07ab3cPP9AwoAc#!introduction>

## საქართველო და თავდაცვის თანამედროვე სისტემები



ფოტო: 1tv.ge

საქართველოს თავდაცვის ძალების თანამედროვე სისტემებით აღჭურვა უმნიშვნელოვანესი საკითხია, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტანკ საწინააღმდეგო საშუალებებს. მოგეხსენებათ, საქართველოს შეიარაღებაში დღეს უკვე არსებობს ამერიკული „ჯაველინის“ ტიპის სისტემები.

ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერა კონტრაქტს ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემა „ჯაველინის“ შეკვეთაზე რიგი სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოსთვის.

პენტაგონის ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიებმა Raytheon-მა და Lockheed Martin-მა 18,4 მილიონი დოლარის ღირებულების შეკვეთა მიიღეს ავსტრალიის, ჩეხეთის რესპუბლიკის, ესტონეთის, საფრანგეთის, საქართველოს,

ინდონეზიის, ირლანდიის, იორდანიის, ლიეტუვის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის, ომანის, ყატარის, თურქეთის, უკრაინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროებისთვის. სავარაუდოდ ეს კონტრაქტი ჯაველინების სპეციალურ მოდიფიცირებას უნდა გულისხმობდეს, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება მათი ექსპორტზე გატანა.

სტრატეგიული პარტნიორების მხარდაჭერის ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი სამხედრო სამრეწველო კომპლექსი განაგრძობს განვითარებას და უცხოეთის ბაზარზე იმპორტს ადგილს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო ტექნიკის საერთაშორისო ბაზარზე აქტიური მუშაობის შედეგად სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ და ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებით ახალი ქართული ჯავშანმანქანა დიდგორი მეომარი 120 მმ მობილური ნაღმმტყორცნის მოდულით ექსპორტზე გავა. 120 მმ კალიბრიანი ნაღმმტყორცნით აღჭურვილი „მეომარის“ დანიშნულებაა ბრიგადის ზომის შენაერთის ან ბატალიონის ზომის ქვედანაყოფის საცეცხლე მხარდაჭერა. შეჯავშნული პლატფორმის, მობილურობის ასევე მანქანა შესაძლებელია გამოყენებული იქნას მექანიზირებული ქვედანაყოფის საცეცხლე მხარდაჭერისთვის სამანევრო ოპერაციებში. პოტენციური შემკვეთის სურვილის მიხედვით საბრძოლო მანქანის დაკომპლექტება შესაძლებელია სხვადასხვა მოდელის შიდა და გარე კავშირის რადიოსადგურებით, გლობალური ნავიგაციის სისტემით, ინერციული ნავიგაცია-პოზიციონირების სისტემით (GPS/INS), კონსტრუქციაში ჩაშენებული ან სწრაფმოსხნადი ცეცხლის მართვის სისტემებით (MFCS), ბრძოლის ველის საინფორმაციო უზრუნველყოფისთვის მართვის, კავშირის და ინფორმაციის გაცვლის C2/C3/C4/C4i სისტემებით.

წყაროები:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/30461772.html?fbclid=IwAR191OHOICUoJvhgdnvqvufH4ImDQOFMcwVachZEqP0WnGk3eu3I6hVqPg>

<https://www.interpressnews.ge/ka/article/587774-axali-kartuli-javshanmankana-didgori-meomari-eksportze-gadis>



ბაჩო თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ერთობლივი განცხადება ევროკავშირისადმი



ფოტო: ukrinform.ua

2020 წლის 15 თებერვალს საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ევროპული კომისიის წევრებს [ერთობლივი განცხადებით](#) მიმართეს ევროკავშირის 2021-2027 წლების ფინანსურ ჩარჩოში აღმოსავლეთ პარტნიორობის მოწინავე ქვეყნებისთვის მძლავრი ფინანსური რესურსების გათვალისწინების შესახებ. სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ევროკავშირს მოუწოდებს, რომ შემდგომი 7 წლისთვის, სტრატეგიული ბიუჯეტის დაგეგმვისას, მხედველობაში მიიღონ იმ რეფორმების მასშტაბი, რომლებიც სამმა ქვეყანამ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე უნდა გაატაროს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ ევროპული პარტნიორობის სახელმწიფოების მხრიდან ევროპულ ვალდებულებებზე ადეკვატური რეაგირებისთვის და ევროკავშირთან არსებულ ურთიერთობებში გამოკვეთილი პრიორიტეტების საპასუხოდ საჭიროა ამ ქვეყნებისთვის გაზრდილი ფინანსების გამოყოფა.

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას „აღმოსავლეთ ევროპული კონგლომერატი“ ევროკავშირს მოუწოდებს, რომ იხელმძღვანელოს ე. წ. გამორჩევის პრინციპით, რათა პარტნიორობის მოწინავე სამ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდეს. განცხადებაში ხაზგასმულია დიალოგის გაძლიერების მნიშვნელობა



ფორმატის- „ევროკავშირი +3 ასოცირებული ქვეყანა“ ფარგლებში. იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ადმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან მხოლოდ ზემოაღნიშნული 3 სახელმწიფო არის კანონმდებლობით და ინსტიტუციურად მჭიდროდ დაკავშირებული ევროპულ გაერთიანებასთან, აბსოლუტურად გასაგებია ორგანიზაციასთან დაახლოების გზაზე მიღწეული შედეგების ფინანსური აღიარების სურვილი. საგულისხმოა, რომ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის მხრიდან ევროკავშირისადმი ამ ფორმატში მიმართვის მეორე შემთხვევაა უკანასკნელი სამი თვის მანძილზე. 2019 წლის 5 დეკემბერს ადმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი განცხადების მთავარი ლაიტმოტივიც, სწორედ პრინციპის „მეტი მეტისთვის“ დანერგვაა. მისი მთავარი არსი გულისხმობს წვერი ქვეყნების ამბიციების, შესაძლებლობებისა და მისწრაფებებისადმი ინდივიდუალურ მიდგომებს. აღნიშნული განცხადებები არამც და არამც არ უნდა შეფასდეს აზერბაიჯანის, ბელარუსისა და სომხეთის ევროკავშირთან ასპირაციის პროცესიდან ჩამოცილების მცდელობად. ევროკავშირის მხრიდან პარტნიორობის ნებისმიერი წვერისადმი მიმართული დამატებითი ფინანსური თუ ტექნიკური ინსტრუმენტები გააძლიერებს არ მხოლოდ ცალკე აღებული ამ სახელმწიფოს ევროპულ ნაბიჯებს, არამედ- ექვსეულის ყველა ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის მთლიან პროცესს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 130-ე შეხვედრა ქ. სტრასბურგში ჩატარდება



ფოტო: <https://mfa.gov.ge/News/evropis-sabchos-ministrta-komitetis-130-e-shekhved.aspx?CatID=5>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 130-ე შეხვედრა ქ. სტრასბურგში ჩატარდება. ამის შესახებ გადაწყვეტილება მინისტრთა კომიტეტის მოადგილეების სხდომაზე 2020 წლის 26 თებერვალს მიიღეს. ღონისძიებას, რომელიც საქართველოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის ფარგლებში უნდა გაიმართოს, ორგანიზაციის სათაო ოფისი უმასპინძლებს. გადაწყვეტილება განაპირობა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით არსებულმა სამართლებრივმა საკითხმა, რაც გამოწვეულია რუსი დიპლომატების მიერ [„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“](#) საქართველოს კანონის დარღვევით. ქვეყანა დადგა არჩევნის წინაშე, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის პერიოდში გასამართ მინისტერიალზე არ შემოეშვა რუსი დიპლომატები საქართველოში, მიეცა მათთვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება, ან დაეწყო სამართლებრივი პროცედურები კონკრეტული დიპლომატების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად. საქართველოს [კონსტიტუციის](#) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების, ასევე საერთაშორისო ჩვეულებებისა და საყოველთაოდ აღიარებული სამართლის პრინციპების პრიმატს საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით, იმ დათქმით, რომ ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას. ანალოგიური დებულებები განსაზღვრულია [„ნორმატიული აქტების შესახებ“](#) საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლითა და [„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“](#) საქართველოს კანონის მე-6 მუხლით. [ევროპის საბჭოს წესდების](#), მე-40 მუხლის შესაბამისად ევროპის საბჭო (საბჭოს გენერალური მდივანი, მდივნის მოადგილე და თანამშრომლები), ასევე, წევრი ქვეყნების წარმომადგენლები სარგებლობენ ე. წ. ფუნქციონალური იმუნიტეტით. [ევროპის საბჭოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გენერალური შეთანხმების](#) მე-9 მუხლის თანახმად, მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენელი, მისი ფუნქციის განხორციელებისას, ასევე, შეხვედრის მასპინძელ ქვეყანაში შესვლის ან მისი დატოვებისას, სარგებლობს იმუნიტეტით და დაუშვებელია მისი დაკავება, დაპატიმრება, ან მის წინააღმდეგ ნებისმიერი სამართლებრივი პროცედურების დაწყება (რაც ასევე მოიცავს იმუნიტეტით მოსარგებლე პირის ქვეყნიდან გაძევებას). აღსანიშნავია, რომ საქართველო მიერთებულია ორივე ზემოხსენებულ დოკუმენტზე, [ყოველგვარი დათქმის გარეშე](#). ევროპის საბჭოს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, პირველი და მე-3 მუხლების გათვალისწინებით, შესაძლებელია წევრი ქვეყნის პასუხისგებაში მიცემა, როგორც წესდების, ასევე გენერალური შეთანხმების დარღვევისთვის. პასუხისმგებლობის ფორმებია- წევრობის შეჩერება და შეწყვეტა. მიუხედავად იმისა, რომ [„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“](#) საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს დამრღვევი პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, აღნიშნული ნორმა იერარქიულად საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებზე ქვემდგომია. [საერთაშორისო ხელშეკრულებების](#)

[შესახებ ვენის კონვენციის](#) 27-ე მუხლში დადგენილი საერთაშორისო ჩვეულება განსაზღვრავს, რომ არ შეიძლება საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამართლება შიდა კანონმდებლობის ნორმებით. მაშასადამე, მინისტრთა კომიტეტში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის საქართველოში არ შემოშვებით, უფრო მეტიც, მის მიმართ ნებისმიერი სამართლებრივი პროცედურის აღძვრით, საქართველო დაარღვევდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს და შესაძლებელია მას დაკისრდა პასუხისმგებლობა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მეტად დაბალანსებულია, რამეთუ ის თავიდან ააცილებს საქართველოს პროცესთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო პოლიტიკურ-სამართლებრივ რისკებს.